



საქართველოს  
თავდაცვის სამინისტრო

MINISTRY OF  
DEFENCE OF GEORGIA

მინისტრის ხედვა  
MINISTER'S VISION

2020



## სარჩევი

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიმართვა -----	2
1. პირად შემადგენლობაზე ზრუნვა -----	4
1.1. რეკრუტირება და შენარჩუნება -----	4
1.2. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოს თავდაცვის ძალებში -----	5
1.3. ანაზღაურება -----	5
1.4. ჯარისკაცების სამხედრო ევიპირების გაუმჯობესება -----	6
1.5. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება -----	6
1.6. ჯანმრთელობის დაცვა, დაზღვევა და კეთილდღეობა -----	7
1.7. ზრუნვა დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე და მათი რესოციალიზაცია -----	8
2. ლოჯისტიკა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია -----	8
2.1. ლოჯისტიკური მხარდაჭერა -----	8
2.2. საბრძოლო მასალების უსაფრთხოება -----	9
2.3. სამედიცინო უზრუნველყოფა -----	9
2.4. ვადაგასული და მოძველებული სამხედრო ინვენტარის ჩამოწერა და უტილიზაცია -----	9
2.5. ინფრასტრუქტურის განვითარება -----	9
3. საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარება -----	10
3.1. ეროვნული თავდაცვის სტრატეგიული განვითარება -----	11
3.2. საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების გეგმა (2020-2030) -----	11
3.3. რეზერვი და მობილიზაცია -----	12
3.4. მზადყოფნის დონის გაუმჯობესება -----	13
3.5. ამოცანით მართვა -----	14
3.6. პროფესიული სამხედრო განათლება -----	14
3.7. ინფორმაციული სისტემა, კავშირგაბმულობის შესაძლებლობები და კიბერუსაფრთხოება -----	15
4. ინსტიტუციური განვითარება -----	16
4.1. კოდიფიკაცია და სტანდარტიზაცია -----	16
4.2. რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემა -----	16
4.3. სამხედრო მრეწველობა და სამეცნიერო კვლევა -----	17
4.4. თავდაცვის ძალების პოპულარიზაცია და სტრატეგიული კომუნიკაციები -----	18
4.5. კეთილსინდისიერების ამაღლება და ანტიკორუფციული გარემო -----	20
5. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება -----	20
5.1. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება -----	20
5.2. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) -----	21
5.3. აშშ-საქართველოს სტრატეგიული ორმხრივი თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში -----	22
5.4. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა -----	23
5.5. ევროკავშირი (EU) -----	24
5.6. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) -----	25
5.7. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან -----	25

## საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიმართვა



ხელისუფლების ძირეული, უმთავრესი პასუხისმგებლობაა ეროვნული ფასეულობების, ღირებულებებისა და ჩვენი თავისუფლების დაცვა. სახელმწიფოს ტერიტორიების ოკუპაციის პირობებში, ყოველდღიურ რეჟიმში გვინევს, გავუმკლავდეთ მნიშვნელოვან გამოწვევებს ქვეყნის თავდაცვის, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და კეთილდღეობის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე, ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის დონე და მზაობა, ყველა მაჩვენებლით მაღალია, არასოდეს გვავიწყდება, რომ ჩვენი ქვეყნის 20% კვლავ ოკუპირებულია და ეს მტკივნეული რეალობა მუდმივად გვახსენებს ჩვენთვის უპირველეს ვალდებულებას საკუთარი თანამოქალაქეების წინაშე. შესაბამისად, არ ვიშურებთ ძალისხმევას მზადყოფნის დონის გასაუმჯობესებლად.

ჩვენ, თავდაცვის დიდი ოჯახი, ნდობის მაღალი მაჩვენებლით ვიცავთ ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეებს, მათ უსაფრთხოებას, ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. აღნიშნული პირობის შესრულება ჩვენს მუდმივ მოვალეობას წარმოადგენს და ამისათვის, უნდა უზრუნველყოთ არსებული შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად ძლიერი და ქმედითი თავდაცვის ძალების შექმნა. მე, როგორც თავდაცვის მინისტრი, ვიღებ ვალდებულებას, რომ სწორად შევაფასო გარემო და დავსახო დღეისათვის აუცილებელი მოქმედების კურსი, რომელიც უზრუნველყოფს მომავლის ხედვის თანმიმდევრულ განხორციელებას.

თავდაცვის სამინისტრო ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ერთგული რჩება. ამ კონცეფციის ფარგლებში, ვიხელმძღვანელებთ რა თავდაცვის მიზნებზე მორგებული ოპერატიული მიდგომებით, გონივრული გათვლებით, რომელიც დაეფუძნება თავდაცვითი ხარჯების მშპ-ის 2%-იან ნატოს სტანდარტს, ერთიანი ძალისხმევით გავუმკლავდებით გამოწვევებს. თავდაცვის მდგრადი მზაობის უზრუნველსაყოფად, თავდაცვის ძალების კომპლექსური ორგანიზაციიდან გამომდინარე, რომელიც ურთიერთდამოკიდებული და მრავალმხრივი სტრუქტურული წყობით გამოირჩევა, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს პრიორიტეტები და ყურადღება გამახვილდეს ამ ეტაპის ფუნდამენტურ ამოცანებზე.

ყურადღება გამახვილდება შემდეგ ძირეულ პრიორიტეტულ კომპონენტებზე: პირადი შემადგენლობა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი; თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესება; უზრუნველყოფის ოპერაციები, ლოჯისტიკის სრულყოფა და



ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია; თავდაცვის ინსტიტუციური განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

წარმოდგენილი ურთიერთდამოკიდებული მიმართულებების განვითარება საჭიროებს დაბალანსებულ მიდგომას. მოკლევადიან პერსპექტივაში, ჩვენ უნდა უზრუნველყოთ ერთიანი ძალისხმევის მობილიზება, ზემოხსენებული ბალანსის მისაღწევად მყარი საფუძვლების შექმნა და მისი სამომავლო შენარჩუნება. სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, უპირველეს ყოვლისა, ძირითადი საზრუნავი გახდება პირადი შემადგენლობის სოციალური ყოფის გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და განვითარება.

საქართველოს, საერთაშორისო სარბიელზე მრავალი გამორჩეულად ერთგული და ძლიერი პარტნიორი და მხარდამჭერი ჰყავს, რომლებთანაც საერთო დემოკრატიული ღირებულებები და ინტერესები გვაკავშირებს. ეროვნული თავდაცვის უზრუნველყოფის და თანამედროვე, ნატოსთან თავსებადი, ქმედითი თავდაცვის ძალების აღმშენებლობის პროცესში, მათ თანადგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამავდროულად, სწორედ საერთო ღირებულებების დაცვისა და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, საგულისხმოა და სამაგალითო ჩვენი სამხედრო კონტინგენტის წვლილი და როლი ნატოსა და ევროკავშირის სამშვიდობო მისიებში.

ჩემთვის განსაკუთრებული პატივია ვემსახურო ქვეყანას თავდაცვის მინისტრის რანგში. ჩვენს უმთავრეს ვალდებულებას ომის პრევენცია და აგრესიისგან თავის დაცვა წარმოადგენს. გარწმუნებთ, რომ ძალისხმევას არ დავიშურებ დასახული მიზნების წარმატებით განსახორციელებლად. გამოვიყენებ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს და საშუალებას, რათა მაქსიმალურად ძლიერი თავდაცვის სისტემა ჩამოვაყალიბოთ. სწორედ ამ მიზნით, წარმოგიდგენთ 2020 წლის ხედვას, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტს. ამ დოკუმენტის სამოქმედო გეგმა კი, დაგეგმილი პროცესის სწორად წარმართვასა და წარმატებით განხორციელებაში დაგვეხმარება.

ირაკლი ღარიბაშვილი  
საქართველოს თავდაცვის მინისტრი

# 1. პირად შერადგენლობაზე ზრუნვა



ჩვენი ჯარისკაცების და მათი ოჯახების მიერ გაღებული მსხვერპლი ფასდაუდებელია. შესაბამისად, ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები, მათი ოჯახები და სამოქალაქო პერსონალი ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ის, ვინც საკუთარი თანამემამულეების დასაცავად საკუთარ სიცოცხლეს აგდებს საფრთხეში, არ უნდა ღელავდეს ყოფით პრობლემებზე და საკუთარი თუ ოჯახის წევრების კეთილდღეობაზე. ჩვენ და მთლიანად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოთ, რომ მათი თავდადება იყოს ადეკვატურად დაფასებული.

შესაბამისად, ჩვენ ამ საკითხს არა ნაბიჯ-ნაბიჯ, არამედ ყოვლისმომცველად მივუდგებით. ჩვენ არ მოვაკლებთ ზრუნვას ჩვენს პერსონალს (რეგულარულ ძალებს, რეზერვისტებს, სავალდებულო სამსახურში მყოფ ახალწვეულებს, მათ ოჯახებსა და სამოქალაქო პირებს). ამ ხედვის რეალიზაცია მრავალწლიან ძალისხმევას მოითხოვს, რომლის ფარგლებშიც 2020 წლის განმავლობაში განსაკუთრებული აქცენტი სამხედრო სამსახურის დაფასებაზე, ჯარისკაცების ანაზღაურების და სოციალური ყოფის გაუმჯობესებაზე, მხარდაჭერი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და მრავალ სხვა მიმართულებაზე გაკეთდება.

## 1.1. რეკრუტირება და შენარჩუნება

სამხედრო სამსახურის პრესტიჟი და მიმზიდველობა დადებითად აისახება რეკრუტირებასა და შენარჩუნებაზე. ამისათვის, 2020 წელს ჩვენ გამოვიყენებთ საკუთარ რესურსებს და ამავდროულად, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ვითანამშრომლებთ სახელისუფლებლო სტრუქტურებთან სამხედრო სამსახურის მიმზიდველობის გასაზრდელად კონკრეტული პროექტების ინიცირებისთვის.



აღნიშნულის ფარგლებში, ვფიქრობთ სამხედრო სამსახურში მყოფი პირების წამახალისებელი შეღავათების პაკეტების შემუშავებაზე. შეღავათები შესაძლოა მოიცავდეს უფასო/შეღავათიან ინტერნეტ მომსახურებასა და საჯარო ტრანსპორტით სარგებლობას, სპეციალური სავაჭრო ფასდაკლებებით სარგებლობას, ჯარისკაცებისა და მათი ოჯახების ინფორმირებისთვის ვებ/სოციალური მედია საიტის შექმნას და ა.შ.

2020 წელს ჩვენ სრულად დავნერგავთ ეროვნულ გვარდიაში ინიცირებულ განვების საპილოტე პროექტს. ჩვენი მიზანია ახლო მომავალში მივადნოთ და შევინარჩუნოთ საშტატო ტაბელით განსაზღვრული კადრების დაკომპლექტების მაღალი მაჩვენებელი. დიდი ყურადღება დაეთმობა მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვასა და შენარჩუნებას, რისთვისაც განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ პერსონალის უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

## 1.2. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოს თავდაცვის ძალებში

საქართველოს თავდაცვის ძალები იზიარებს გენდერული თანასწორობის ხედვას და გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებას სამხედრო სამსახურის ყველა სფეროში. ნატოსთან პარტნიორობის ფარგლებში და გაეროს უშიშროების საბჭოს ქალების, მშვიდობასა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების განხორციელებისას, ჩვენ განვაგრძობთ საქმიანობას სამი ძირითადი მიმართულებით: გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება, ქალთა თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობა-ანგარიშვალდებულება.

ინტეგრირების უზრუნველსაყოფად, გენდერული თანასწორობა ადეკვატურად იქნება გათვალისწინებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკაში და პროექტებში. ქალთა თანაბარი ჩართულობისთვის, ჩვენ მხარს დავუჭერთ ქალთა წარმომადგენლობის ზრდას და მათ კარიერულ განვითარებას საქართველოს თავდაცვის ძალებში, ხოლო შესაბამისობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, შევიმუშავებთ და განვახორციელებთ პოლიტიკას, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან და განვაგრძობთ აქტიურ მუშაობას ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ქალების როლი საქართველოს თავდაცვის ძალებში და განსაკუთრებით - ეროვნულ გვარდიაში არსებითია. მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, 2020 წელს გატარდება შესაბამისი ღონისძიებები ეროვნულ გვარდიაში მეტი ქალის რეკრუტირებისთვის.

## 1.3. ანაზღაურება

ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების ღირსეული ანაზღაურება სამინისტროს სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ეს არამარტო მორალური პასუხისმგებლობაა, რომელზეც სამინისტრო 2020 წელსაც იზრუნებს, არამედ ის დადებით გავლენას ახდენს მოტივაციაზე, კარიერული ზრდის ინტერესზე და საბოლოოდ, ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის ძალების მყარ განვითარებას.

2019 წელს, ჩვენ დავინყეთ სახელფასო ანაზღაურების დაბალანსება წოდების შესაბამისად, სამხედრო პერსონალის ხელფასების თანდათანობით ზრდით, ყოველთვიური 100-510 ლარის ოდენობის დანამატების სახით. ეს ძალისხმევა 2020 წელს გაგრძელდება, რათა თავდაცვის ძალებში სრულად უზრუნველყოფილი და სათანადოდ დაბალანსებული სახელფასო ანაზღაურების სისტემა მივიღოთ. გარდა ამისა, გადაიხედება სამინისტროს სამოქალაქო ოფისის თანამშრომლების სახელფასო განაკვეთები. ჩვენ გადავდგამთ შესაბამის ნაბიჯებს, რომელთა მიზანია ანაზღაურების სისტემის ჩამოყალიბება თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

#### 1.4. ჯარისკაცების სამხედრო ეკიპირების გაუმჯობესება

2020 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდება სამხედრო უნიფორმის რებენდინგისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. თავდაცვის ძალების თითოეული წევრი უზრუნველყოფილი იქნება განახლებული სახისა და მაღალი ხარისხის თანამედროვე უნიფორმით. თავდაცვის სამინისტრო გამოყოფს 21 მილიონ ლარს სამხედრო მოსამსახურეებისათვის უნიფორმისა და სამხედრო ფეხსაცმლის შესაძენად.

გემოლდნიშნულის მხარდასაჭერად, სამინისტრო შეიმუშავებს სპეციფიკურ ტექნიკურ მახასიათებლებსა და სტანდარტებს შესყიდვებისთვის. ამ სახელმძღვანელო მითითებების დანერგვა უმნიშვნელოვანესია, რომ ჩვენი ჯარისკაცებისთვის ხარისხიანი უნიფორმის შესყიდვა არ შეფერხდეს ბიუროკრატიული პროცედურების გამო.

#### 1.5. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას სამხედრო პერსონალის შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნა ღირსეული სამხედრო სამსახურის წინაპირობაა. სამინისტროს ძალისხმევა კი, ამ კუთხით, სახელმწიფოს მხრიდან ჯარისკაცებსა და მათი ოჯახის წევრებზე განსაკუთრებული ზრუნვისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატულებას წარმოადგენს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში კონტრაქტის საფუძველზე სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბინების საკუთრებაში გადაცემის პროცესი 2013 წელს დაიწყო. დღემდე, კონტრაქტის საფუძველზე, თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინა საკუთრებაში გადაეცა 1371 პირს. 2020 წელს ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომლის წინაშეც სახელმწიფოს საკონტრაქტო ვალდებულება გააჩნია, დაკმაყოფილდება ბინით როგორც გორში, ასევე თბილისში.

გარდა ამისა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით მნიშვნელოვანი იქნება ამხანაგობების შექმნა. პროექტს საფუძველი 2019 წლის დასაწყისში ჩაეყარა, თუმცა დამატებითი მუშაობის შედეგად, მისი პირობები გაუმჯობესდა. ამხანაგობების შექმნის პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება და თითოეულ ეტაპზე თავდაპირველად დაგეგმილ რაოდენობაზე 30%-ით მეტ მოსამსახურეს მოიცავს. ასევე, ვფიქრობთ სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისა და განსაკუთრებით,

ბავშვებისათვის მრავალბინიანი სახლების გარშემო საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაზე, რაც შესაძლოა ქალაქების ხელმძღვანელობასთან ერთობლივი ჩართულობით განხორციელდეს.

2020 წელს ინიცირებული სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ფარგლებში ყურადღება გამახვილდება ბაზაზე არსებული საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე. გეგმა მოიცავს 197 ყაზარმის, 52 სასადილოს, 23 მულტიფუნქციური, მრავალმიზნობრივი გარე რეკრეაციული მოედნის და შიდა სპორტული და სათანადოდ აღჭურვილი სავარჯიშო დარბაზის განახლებასა და აღჭურვას.

## 1.6. ჯანმრთელობის დაცვა, დაზღვევა და კეთილდღეობა

თავდაცვის სამინისტროს სოციალური პასუხისმგებლობა სამხედრო მოსამსახურეებზე და მათი ოჯახის წევრებზე ზრუნვა. ამ მიმართულებით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტივობას ჯანმრთელობის დაზღვევის სათანადო პირობების შექმნა და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა წარმოადგენს. სამინისტროს მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა 2006 წლიდან ხორციელდება. ამ პერიოდიდან მოყოლებული გაუმჯობესდა სამედიცინო სერვისების მიწოდება, დაფარვის არეალი, მომსახურე კლინიკების რაოდენობა და მომსახურებისთვის გათვალისწინებული ლიმიტები, თუმცა, როგორც ამბულატორიული და სტაციონარული, ისე მედიკამენტოზური და სტომატოლოგიური მომსახურება კვლავაც გამოწვევად რჩება. შესაბამისად, 2020 წელს, დაზღვევის გასაუმჯობესებლად თავდაცვის სამინისტრო დამატებით დაახლოებით 22 მილიონ ლარს გამოყოფს.

გემოაღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, 2020 წლიდან ახალი სატენდერო პირობების ფარგლებში, ჩვენ ვგეგმავთ ამბულატორიული, სტაციონარული, მედიკამენტოზური და სტომატოლოგიური სამედიცინო სერვისების გაუმჯობესებას თბილისსა და რეგიონებში. დაფარვის არეალის გასაუმჯობესებლად, ქალაქში გაიზრდება ოჯახის ექიმების რიცხვი. რაც შეეხება რეგიონებს, ოჯახის ექიმების რიცხვის ზრდა განხორციელდება არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხება 2020 წლის სადაზღვევო მომსახურების პირობებს. გაიზრდება უფასო პრევენციული გამოკვლევების რაოდენობა და შემცირდება გამონაკლისი სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალი.

პირველად, თავდაცვის სამინისტროს ისტორიაში, საბაზისო სადაზღვევო პაკეტი უზრუნველყოფს სტომატოლოგიურ მომსახურებას. ამასთან ერთად, სამინისტროს მოსამსახურეებს, დროის დაზოგვის მიზნით, საშუალება ექნებათ, ისარგებლონ სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების ელექტრონული სისტემით.

სამხედრო მოსამსახურეების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ხარისხიანი კვებით უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც



გულისხმობს სამზარეულო ინვენტარის განახლებას და კვების რაციონის გაუმჯობესებას. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი მომსახურების გასაუმჯობესებლად, რაც აისახა აღნიშნული მიმართულების დაფინანსების 25%-იან ზრდაში. კვებითი უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების ტენდენცია გაგრძელდება 2020 წელსაც.

## 1.7. ბრუნვა დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე და მათი რესოციალიზაცია

დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების პროგრამის მიმდინარე და სამომავლო მხარდაჭერა თავდაცვის სამინისტროსა და ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი მეომრების ფიზიკურ და ფსიქიკურ რეაბილიტაციას საზოგადოებაში მათი უმტკივნეულო რესოციალიზაციის მიზნით. ზემოაღნიშნული განხორციელდება ჩვენი გმირების ღირსებისა და პატივის შესაბამისად. 2020 წელს, მრავალწლიანი ძალისხმევის შემდეგ, გაიხსნება მარო მაყაშვილის სახელობის წეროვანის სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დაწესებულება დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის.

## 2. ლოჯისტიკა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია

გაგრძელდება მუშაობა მშვიდობიანობის დროს ლოჯისტიკური შესაძლებლობების საომარ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, იმისათვის რომ შევძლოთ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ოპერაციების დამოუკიდებლად წარმოება და გავაუმჯობესოთ ეროვნული მდგრადობა ნებისმიერი სამხედრო აგრესიის საპასუხოდ. ეს გულისხმობს ეფექტურ ლოჯისტიკურ მხარდაჭერას საჭირო მარაგებით, ტრანსპორტირებით, ტექნიკური მომსახურებით, სამედიცინო და სხვა სერვისებით. 2020 წლიდან დავიწყებთ მნიშვნელოვან ხუთწლიან პროგრამას თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. წლების განმავლობაში ამ მიმართულებით დაგროვილი პრობლემების აღმოფხვრა საჭიროებს მეტ ყურადღებას და რესურსების მობილიზებას.

### 2.1. ლოჯისტიკური მხარდაჭერა

ლოჯისტიკის ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესი 2018 წელს დაიწყო და მოქნილი, მოთხოვნებზე ორიენტირებული სტრუქტურის შექმნას ითვალისწინებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე ოპერაციების დამოუკიდებლად წარმოებას. ამისათვის აუცილებელია მოთხოვნებისა და ანგარიშგების წარმოების პროცესების გადახედვა და ახალი, თანამედროვე პოლიტიკის შემუშავება. აღნიშნული, ასევე, მოიცავს, ქვედანაყოფის საბრძოლო კომპლექტისა (UBL) და ოპერატიული მარაგების დონეების სტანდარტების გადახედვას, ოპერატიული მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

ქვედანაყოფის დროული ლოჯისტიკური მხარდაჭერა უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანობის უმთავრესი ინდიკატორია. საქართველოს თავდაცვის ძალების ახალი მატერიალური რესურსების მართვის ცენტრისა და ლოჯისტიკური ოპერაციების ცენტრის

შემდგომი განვითარება 2020 წლის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი იქნება. რესურსების მართვის ინტეგრირებულ სისტემასთან (IRMS) ერთად, ეს ცენტრები განახორციელებენ ძალებისა და საშუალებების სრულ მიმოხილვას მიწოდების ყველა კლასისთვის და ხელს შეუწყობენ უფრო ზუსტ, დროულ და მოთხოვნებზე ორიენტირებულ ლოჯისტიკურ მხარდაჭერას.

## 2.2. საბრძოლო მასალების უსაფრთხოება

ჩვენ განსაკუთრებულ ძალისხმევას მივმართავთ საბრძოლო მასალების ფიზიკური უსაფრთხოების და მარაგების მართვაზე (PSSM), გაეროს საერთაშორისო საბრძოლო მასალების ტექნიკური სახელმძღვანელოს (IATG) მოთხოვნების დაცვით. გაგრძელდება თანამშრომლობა პარტნიორებთან ყოვლისმომცველი სასწავლო და ობიექტების განვითარების პროგრამების შესაქმნელად. გადაიდგმება ნაბიჯები საბრძოლო მასალების საწყობების შესაბამისი დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ ძალისხმევის მთავარი მიზანია უზრუნველყოთ საბრძოლო მასალებისა და სხვა ფეთქებადსაშიში ტვირთის საცავების დაცულობა და მათი ჩატვირთვა და ტრანსპორტირება IATG სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, აშშ-ის მხარდაჭერით, საბრძოლო მასალების მარაგების სრული სურათის შესაქმნელად, 2020 წელს განვახორციელებთ საბრძოლო მასალების მართვის ავტომატიზებულ სისტემას.

## 2.3. სამედიცინო უზრუნველყოფა

2020 წელს სათანადო ყურადღება დაეთმობა სამედიცინო შესაძლებლობების გაძლიერებას საქართველოს თავდაცვის ძალებში. 2019 წელს ჩატარებული საერთაშორისო სწავლების „მტკიცე სული“ (Agile Spirit) დროს წარმატებით მოხდა როლი-2 სამედიცინო სამკურნალო დაწესებულებების გამოყენება. სამკურნალო დაწესებულებების სტრუქტურისა და შემადგენლობის წარმატებით გამოცდასთან ერთად, სწავლების განმავლობაში გამოიკვეთა ტექნიკურ აღჭურვილობასთან დაკავშირებული ხარვეზები. 2020 წელს შემუშავდება გეგმები, რომლებიც დაგვეხმარება იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრაში, სამკურნალო დაწესებულებების მობილურობის გაზრდაში და ბრიგადების დონეზე მობილური ქირურგიული ჯგუფების შესაძლებლობების ჩამოყალიბებაში.

## 2.4. ვადაგასული და მოძველებული

### სამხედრო ინვენტარის ჩამოწერა და უტილიზაცია

2020 წელს საქართველოს თავდაცვის ძალებში დაიწყება ვადაგასული და მოძველებული საბჭოთა დროინდელი სამხედრო აღჭურვილობის, საბრძოლო მასალის და სხვა მარაგების ჩამოწერა. ვინაიდან, აღნიშნული ინვენტარი და მარაგები ოპერატიული და სხვა მიზნებისთვისაც გამოუყენებელია, ამასთან, მათი შენახვა დაკავშირებულია დიდ ფინანსურ დანახარჯებთან. შესაბამისად, საჭიროა მათი უტილიზაცია და ჩანაცვლება ნატოს სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით.

## 2.5. ინფრასტრუქტურის განვითარება

თავდაცვის ინფრასტრუქტურის დეტალურმა შეფასებამ გამოავლინა ფინანსური რესურსების დიდი ოდენობით ინვესტირების გადაუდებელი საჭიროება, რაც

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას უნდა მოხმარდეს. სხვა ღონისძიებებთან ერთად, 2020 წელს ვგეგმავთ 100 მილიონი ლარი მივმართოთ ობიექტების განახლების, საცხოვრებელი პირობების, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს გასაუმჯობესებლად. ამასთანავე, 2020 წელს შევიმუშავებთ თავდაცვის სამინისტროში ინფრასტრუქტურის მართვის ოფისის (IMO) შექმნის გეგმას, რომელიც არსებული ხარვეზების ინსტიტუციურ დონეზე გადაჭრაში დაგვეხმარება. აღნიშნული ოფისის ამოქმედება 2020 წლის შუა პერიოდისათვის იგეგმება, რაც სამინისტროს ხელმძღვანელობას შესაძლებლობას მისცემს განახორციელოს ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველობა. მართვის ოფისი დაადგენს ჩვენს სამხედრო ობიექტების ოპერირების ნორმებს გაეროს, ევროკავშირის და ნატოს სტანდარტების შესაბამისად. ოფისი ზედამხედველობას გაუწევს სამხედრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხუთწლიან გეგმის შემუშავებასა და აღსრულებას წინასწარ დამტკიცებული გენერალური გეგმების შესაბამისად. ჩვენ ასევე გავზრდით მეთაურების ფინანსურ რესურსს და იურიდიულ უფლებამოსილებას, რათა შეძლონ მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურული და სარემონტო პროექტების წარმოება.

### 3. საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარება



საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის, რუსეთის აგრესიული ქმედებების და შავი ზღვის რეგიონში მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობების ზრდის ფონზე, აუცილებელია საქართველოს თავდაცვის ძალების შესაბამისი განვითარება არსებულ საფრთხეებზე საპასუხოდ. წარსული გამოცდილებისა და მოწინააღმდეგის დოქტრინისა და ტაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის ძალები გააგრძელებს ტრანსფორმაციას უფრო მოქნილ, მობილურ ძალად ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც ურბანულ და არა-ურბანულ გარემოში, სათანადო დაცულობით და ლეტალურობით მოქმედების უნარი აქვს. ამისათვის, შევიმუშავებთ ოპერატიულ ხედვას მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მიზნებით, სადაც გათვალისწინებული იქნება წარსული გამოცდილება და ისეთი ქვეყნების

(მაგ. ბალტიისპირეთის ქვეყნები) საუკეთესო პრაქტიკა, რომლებიც საქართველოს მსგავსი ოპერატიული გარემოთი, გამონწვევებით და რესურსობრივი შესაძლებლობებით ხასიათდება. ამასთან, ფისკალური შებენიანების გათვალისწინებით, მოგვიწევს რთული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის პროფესიული და სარეზერვო ძალების სათანადო ბალანსის უზრუნველყოფა.

### 3.1. ეროვნული თავდაცვის სტრატეგიული განვითარება

ეროვნული თავდაცვის გრძელვადიანი განვითარება ტოტალური თავდაცვის პრინციპის შესაბამისად ერთიანი სამთავრობო მიდგომის საფუძველზე ხორციელდება. ამ მხრივ, „თავდაცვის ეროვნული სტრატეგია 2020-2030“ (NDS) ტოტალური თავდაცვის განხორციელებისთვის უმთავრეს დოკუმენტს წარმოადგენს.

სტრატეგია აყალიბებს ქვეყნის მთლიანი რესურსის მობილიზაციისთვის ეროვნული მზადყოფნის ჩარჩოს და განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სხვა სამთავრობო უწყებების როლს, პასუხისმგებლობებსა და ამოცანებს მთავრობის ერთიანი და კოორდინირებული ძალისხმევის ფარგლებში.

სამხედრო თავდაცვის კუთხით დოკუმენტში ასახული იქნება საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გრძელვადიანი განვითარების ხედვა. შესაბამისად, ეროვნული თავდაცვის სტრატეგია წარმოადგენს თავდაცვის ძალების სტრატეგიულ გზამკვლევს 2030 წლამდე.

ტოტალური თავდაცვის კონცეფციის მხარდასაჭერად, ჩატარდება სამეთაურო საშტაბო სწავლება „დიდგორი 2020“. სიმულაციური-კომპიუტერული სისტემებით მხარდაჭერილი „დიდგორი 2020“ იქნება ტაქტიკური და ეროვნულ-სტრატეგიული დონეების დამაკავშირებელი ოპერატიული დონის უწყებათშორისი სწავლება. სწავლების ძირითადი მიზანია საგანგებო სიტუაციებსა და საომარი მდგომარეობის დროს სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე უწყებათშორისი კოორდინაციის ეფექტურობის გაზრდა, უწყებრივი და უწყებათშორისი გადაწყვეტილების მიღებისა და რეაგირების მექანიზმების ეფექტურობის და ნაკლოვანებების შეფასების გზით. სწავლების ფარგლებში, აღმოსავლეთ და დასავლეთის ოპერატიული სარდლობები დახვეწენ ოპერაციების დაგეგმვის, მომზადების, აღსრულებისა და შეფასების პროცესებს და შეიმუშავენ სცენარებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ამოცანით მართვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება. „დიდგორი 2020“-ის დაგეგმვის პროცესი ჩატარდება ნატოს კოლექტიური წვრთნებისა და სწავლების შესახებ დირექტივის მიხედვით, რაც საშუალებას გვაძლევს საქართველოს თავდაცვის ძალების მასშტაბით ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობა გაიწვრთნას ნატოს პროცედურებისა და სტანდარტების შესაბამისად.

### 3.2. საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების გეგმა (2020-2030)

სამხედრო თავდაცვის კუთხით, ეროვნული თავდაცვის სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად 2020 წელს ჩვენ შევიმუშავებთ საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების 2020-2030 წლების გეგმას (GDFDP). თავდაცვის სტრატეგიით



განსაზღვრული განვითარების ზოგადი მიმართულებების საფუძველზე, 2020-2030 წლების გეგმა დაადგენს კონკრეტულ ამოცანებსა და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების დროში განვირგნო გრაფიკს ახლო და გრძელვადიან პერსპექტივაში. იმისათვის, რომ 2020-2030 წლების გეგმაში განვირგნო ღონისძიებები იყოს რელევანტური და განხორციელებადი, დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ფინანსური გათვლები.

თავდაცვის სფეროს მშპ-ს 2%-იანი დაფინანსების პირობებში, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შეიარაღებისა და აღჭურვილობის მოდერნიზაციის საკითხი. 2020 წლისთვის ყურადღება გამახვილდება ჯავშანსანინალმდეგო და საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებაზე; ISTAR შესაძლებლობის კომპონენტებზე; ტრანსპორტირებაზე და მობილურობაზე; საბრძოლო დანაყოფების სამედიცინო შესაძლებლობებზე; C2 საკომუნიკაციო საშუალებებზე; სამანევრო დანაყოფების საცეცხლე მხარდაჭერის საშუალებებზე და სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარებაზე.

არსებული ფინანსური შეზღუდვების ფონზე, საქართველოს თავდაცვის ძალებმა უნდა მიაღწიოს უფრო რეალისტურ ბალანსს პროფესიულ და სარეზერვო ძალებს შორის. ბალტიის ქვეყნების გამოცდილებისა და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების გათვალისწინებით, ჩვენ თანდათან უნდა გავაძლიეროთ აქტიური და სამობილიზაციო რეზერვის კომპონენტები, უზრუნველყოთ მათი სრული ინტეგრირება თავდაცვის ეროვნულ გეგმაში. ამ კომპონენტების გამოყენებით ჩვენ თავდაცვის ძალების არა მხოლოდ რიცხოვნობის გაზრდას, არამედ მისი შესაძლებლობების გაძლიერებასაც შევძლებთ. 2020 წელს გადაიხედება და განისაზღვრება თავდაცვის მიზნების მისაღწევად საჭირო ძალთა მართვის შესაძლებლობები.

### 3.3. რეზერვი და მობილიზაცია

2020 წელს ტოტალური თავდაცვის პრინციპების გათვალისწინებითა და „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად, ეროვნული გვარდია ყურადღებას ტერიტორიული რეზერვის ქვედანაყოფების განვითარებაზე გაამახვილებს. დაკისრებული მისიის შესასრულებლად, ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები უნდა იყოს შესაბამისად ორგანიზებული, აღჭურვილი და საჭირო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი. განვითარების განხორციელების გეგმა დასრულდება 2020 წელს.

ამასთან, 2020 წელს თავდაცვის ძალების რეზერვისა და მობილიზაციის მართვის სტრუქტურების შექმნისა და განვითარების მიზნით შემუშავდება ორგანიზაციული და საკანონმდებლო საფუძველი, მოხდება ელექტრონული მართვის სისტემის - თავდაცვის ძალების რეზერვის ერთიანი მონაცემთა ბაზის - შემუშავების ინიცირება და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით შეიქმნება სამობილიზაციო გეგმები. აღნიშნული ძალისხმევა მიმართული იქნება სამობილიზაციო რეზერვის ეფექტურობის გასაზრდელად ისეთი მექანიზმების შემუშავებით, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის სამობილიზაციო რეზერვის - 18-დან 60 წლამდე მოქალაქეების ჩართულობას საომარი მდგომარეობის დროს, რაც ძალთა გაძლიერებელ ფაქტორს წარმოადგენს.



### 3.4. მზადყოფნის დონის გაუმჯობესება



საბრძოლო მზადყოფნისა და მდგრადი თავდაცვის ინსტიტუტების განვითარების პროცესში აშშ წარმოადგენს საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს. საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) განხორციელებისას უმნიშვნელოვანესი ყურადღება კვლავ დაეთმობა მის ინსტიტუციონალურ ნაწილს. 2020 წლიდან ქართული მხარე თავად განახორციელებს GDRP-ის პროგრამიდან მიღებული გამოცდილების ინსტიტუციონალიზაციის პროცესს. პროგრამის დასასრულს, 2021 წლის მაისისთვის, ჩვენ შევძლებთ დამოუკიდებლად დავაკომპლექტოთ, გავწვრთნათ, აღვჭურვოთ და შევინარჩუნოთ ძალები, რომლებიც მზად იქნებიან დავისრებული მისიების შესასრულებლად.

GDRP-ის დახმარებით საქართველოს თავდაცვის ძალები მზადაა სათავეში ჩაუდგეს გადასროლისწინა მოსამზადებელ სწავლებებს. აშშ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩვენ ვავითარებთ შესაძლებლობებს მტკიცე მხარდაჭერის მისიასა (RSM) და სხვა კოალიციური ოპერაციებისათვის მოსამზადებლად.

GDRP-ის პარალელურად, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში გრძელდება ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) სრულყოფა. განვითარების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს მსოფლიო სტანდარტების საწვრთნელი გარემოს შექმნა სასწავლო რაიონებითა და ობიექტებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის ძალების მზადყოფნის დონის გაუმჯობესებას და განავითარებს მასშტაბური მრავალეროვნული სწავლებების

(მაგ. Defender-Europe) ჩატარების შესაძლებლობას. ჩვენ შევძლებთ საქართველოს ტერიტორიაზე მზადყოფნაზე ორიენტირებული წვრთნების ჩატარების შესაძლებლობის შეთავაზებას ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოებისათვის. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწავლების მიზნებისათვის მუდმივი მონინააღმდეგე ძალის (OPFOR) შექმნას.

აშშ-ის მხარდაჭერით განვაგრძობთ თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მოდერნიზაციას ნატოს სტანდარტების შესაბამისი შეიარაღებითა და აღჭურვილობით. მოდერნიზებული შეიარაღებითა და სანვრთნელი შესაძლებლობებით 2020 წელს ასევე აღიჭურვება საქართველოს სპეციალური ოპერაციების ძალები. 2020 წელს, მზად ვიქნებით სპეციალური ოპერაციების ძალების ტაქტიკური ქვედანაყოფების (ოპერატიულ დონეზე სპეციალური ოპერაციების ძალების ელემენტი) გადასროლისათვის.

მნიშვნელოვანია საქართველოში მომავალშიც ჩატარდეს საერთაშორისო სწავლებები და წვრთნები. საერთაშორისო სწავლებებში პარტნიორების მხარდი მხარდაჭერა და საქართველოს ქვედანაყოფების უპრეცედენტო ჩართულობა ხელს უწყობს საბრძოლო მზადყოფნისა და თავსებადობის დონის ამაღლებას. ამ მხრივ, მიღწეულ პროგრესზე დაყრდნობით ჩვენ განვაგრძობთ აშშ-ის ხელმძღვანელობით მრავალეროვნული სწავლებების „ღირსეული პარტნიორი“ (Noble Partner) და „მტკიცე სული“ (Agile Spirit) 2020-2021 წლებში ჩატარებას.

### 3.5. ამოცანით მართვა

2020 წელს ჩვენ განვაგრძობთ ამოცანით მართვის მიდგომის დანერგვას. ამოცანით მართვა გულისხმობს მეთაურებსა და მათ დაქვემდებარებულებს შორის ნდობის ისეთი მაჩვენებლის მიღწევას, რაც ქვედა რგოლის სამხედრო მოსამსახურეებს მშვიდობიან თუ საომარი მდგომარეობისას მეთაურის ჩანაფიქრის ფარგლებში გონივრული რისკის აღებისა და დროული გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებაში დაეხმარება. ეს არის ინტელექტუალური და კულტურული ცვლილება, რომელმაც მთელი თავდაცვის ძალები უნდა მოიცვას და რომლის მიღწევისთვისაც აუცილებელი იქნება შესაბამისი წვრთნებისა და განათლების უზრუნველყოფა. 2020 წელს მოხდება ისეთი მოძველებული რეგულაციების და პრაქტიკის იდენტიფიცირება, გადახედვა და გაუქმება, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ამოცანით მართვის იმპლემენტაციის პროცესს.

### 3.6. პროფესიული სამხედრო განათლება

პროფესიული სამხედრო განათლება (PME) თავდაცვის ძალების მზადყოფნის დონის გაუმჯობესების ერთ-ერთი საფუძველია. სამხედრო განათლების მიზანი ხელმძღვანელებისა და მეთაურების ტაქტიკური/ოპერატიული უნარებისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობის გაზრდაა. აღნიშნული უზრუნველყოფს მაღალი მზადყოფნის დონის მქონე ძალების განვითარებას ამოცანით მართვის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე.

2020 წელს შეიქმნება სტუდენტზე ორიენტირებული, ინტერაქტიული და შემოქმედებითი სასწავლო კურსები და პროგრამები, სადაც ყურადღება კრიტიკულ აზროვნებაზე იქნება





გამახვილებული. ეს მიდგომა შეეხება თავდაცვის ძალების ყველა სკოლასა და პროგრამას, მათ შორის, სანყისი საბრძოლო მომზადებისა (BCT) და სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის კურსებს (CGS). ჩვენმა განათლების და წვრთნების სისტემამ უნდა უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის ტაქტიკური და ტექნიკური გამოცდილების მქონე ოფიცრების, სერჟანტ-კაპრალების და ჯარისკაცების მომზადება.

2020 წელს საქართველოს თავდაცვის ძალებს გადაეცემა ორი ახალი საწვრთნელი ცენტრი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფესიული სამხედრო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. მომავალი წლიდან ჩვენ ასევე დავინყებთ სპეციალობებზე მორგებულ სასწავლო კონფერენციების ჩატარებას წელიწადში ორჯერ. ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა სკოლის ინსტრუქტორებს საშუალება მიეცემათ ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება, ცოდნა და კურსის მასალები.

### 3.7. ინფორმაციული სისტემა, კავშირგაბმულობის შესაძლებლობები და კიბერუსაფრთხოება

კიბერ სივრცის მნიშვნელობის ზრდამ და მის ახალ ოპერატიულ სფეროდ ჩამოყალიბებამ გამოიწვია ეროვნული თავდაცვის მიზნებისთვის ეფექტური და მდგრადი და კიბერ კომპონენტის განვითარების აუცილებლობა, რომელიც ითვალისწინებს მის გავლენას, უპირატესობებსა და სისუსტეებს.

კიბერ სივრცის დაცვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტი და ტოტალური თავდაცვის შემადგენელი ნაწილია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ეფექტური კიბერ სისტემის შექმნა, რომელიც გააერთიანებს ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერ თავდაცვისა და უსაფრთხოების კომპონენტებს.

ინფორმაციული სისტემის, კავშირგაბმულობისა და კიბერუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად შეიქმნება უსაფრთხოების ოპერაციების ცენტრი (SOC). ხსენებული ცენტრის მიზანია თავდაცვის სამინისტროს კომპიუტერულ ქსელში ინციდენტების აღმოჩენის, ანალიზისა და საპასუხო ქმედებების ხარისხის გაზრდა. უსაფრთხოების ოპერაციების ცენტრი ითანამშრომლებს კიბერუსაფრთხოების ბიუროსთან, რომელიც 2020 წლის ბოლოს, ან 2021 წლის დასაწყისში საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით საერთაშორისო კიბერ სწავლებას ჩაატარებს.

იზოლაციის პირობებში შეუძლებელია ქვეყნის კიბერ თავდაცვის მდგრადობის უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნული დონის კიბერ აქტივობების განხორციელების პროცესში, თავდაცვის სამინისტრო მჭიდროდ ითანამშრომლებს სახელმწიფო კიბერ აქტორებთან. პროცესი გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას, კოორდინირებულ მოქმედებებს და უწყებათაშორის და საერთაშორისო სწავლებებში მონაწილეობას საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიის შესაბამისად.

## 4. ინსტიტუციური განვითარება

თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციური რეფორმების მიზანია დაგეგმვის, გადანაცვლების მიღების მექანიზმების, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მენეჯმენტის შიდა სისტემისა და კონტროლის სისტემების გაუმჯობესების უზრუნველყოფა უწყებათაშორისი კოორდინაციის ხელშეწყობასთან ერთად. აღნიშნული აქტივობების წარმატებულად განხორციელების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულების შემდგომი განვითარება, შიდა პროცედურების გადახედვა, ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

### 4.1. კოდიფიკაცია და სტანდარტიზაცია

2019 წლის დეკემბერში თავდაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა „სტანდარტიზაციისა და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი“, რომელიც პასუხისმგებელი იქნება თავდაცვის ძალებში ნატოსთან თავსებადი კოდიფიკაციისა და სტანდარტიზაციის სისტემის განვითარებაზე და უზრუნველყოფს როგორც შესაბამისი აღჭურვილობის, მარაგების, ინფრასტრუქტურის, საკვების, ტანისამოსის, შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების სტანდარტიზაციას, კოდიფიკაციას, იდენტიფიცირებას, კლასიფიცირებას, ისე განახორციელებს სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ზედამხედველობას და ყველა ტიპის მომსახურების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების კონტროლს.

### 4.2. რესურსების მართვის ინტეგრირებული სისტემა

2020 წელს რესურსების მართვის ინტეგრირებულ სისტემაში (IRMS) განხორციელებული ინვესტიცია შედეგს გამოიღებს. სრულად დანერგვის შემთხვევაში კი ეს ბაზა ერთმანეთთან დააკავშირებს საშტატო განრიგის და ტაბელის (TOEs) შესაბამის ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და მოთხოვნებს პერსონალზე, ლოჯისტიკასა და ინფრასტრუქტურაზე,

რაც საშუალებას მისცემს დამგეგმავებს დეტალური ანალიზი ჩაატარონ და განსაზღვრონ მხარდაჭერის მოთხოვნები. აღნიშნული, თავდაცვის სამინისტროში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ინფორმაციის გაცვლასა და გამჭვირვალობას. 2020 წლისთვის, სრულად უნდა დავენერგოთ საშტატო განრიგი და ტაბელი (TOEs), ადამიანური რესურსების (HR), მიწოდების კლასების V და VII, ინფრასტრუქტურის მენეჯმენტისა (IM) და ქვედანაყოფების მზადყოფნის მოხსენების პროგრამების (URRP) კომპონენტები. სხვა დადებით შედეგებთან ერთად, ეს ასევე გააუმჯობესებს პასუხისმგებლობას და გამჭვირვალობას თავდაცვის ძალებში. ჩვენ უნდა მოვახდინოთ IRMS ინტეგრირება, რომლის მონაცემებიც, იქნება მიმდინარე, ზუსტი და ავტორიტეტული.

2020 წელს დავენერგავთ ნატოს სტანდარტის შესაბამის ძლიერ შიდა კონტროლის სისტემას, რომლის ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტი ფორმალიზებული რისკის მართვაა.

### 4.3. სამხედრო მრეწველობა და სამეცნიერო კვლევა



სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის სანარმოო ბაზის მნიშვნელოვანი რესურსი გააჩნია და აღჭურვილია საკონსტრუქტორო-საინჟინრო ტექნოლოგიური შესაძლებლობებით. ცენტრში ასევე ხორციელდება განალმვისა და დემილიტარიზაციის პროგრამები, რომელთა მეშვეობით საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა პერიოდიდან დარჩენილი ფეთქებადსაშიში მონყობილობების გაუვნებლყოფა და გამოყენებისათვის უვარგისი საბრძოლო მასალების უტილიზაცია ხდება.

„დელტას“ საქმიანობის ძირითად სფეროს სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის დაპროექტება, შექმნა და სერიული წარმოება წარმოადგენს. იგი უმთავრესად



თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების კვლევასა და განვითარებაზე, არსებულ ტენდენციებზე მორგებული პროდუქციის შექმნაზე, გამოცდაზე, მათი საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის მიწოდებასა და ექსპორტზე არის ორიენტირებული.

ქართული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისთვის უმთავრესი გამოწვევა კვლავ საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკმაყოფილებაა. 2020 წლისთვის, შევეცდებით ჩვენი თავდაცვის ძალებისთვის გავზარდოთ მაღალი ხარისხის ქვეითთა საბრძოლო მანქანების და სამხედრო აღჭურვილობის წარმოება. სათანადო ბიზნეს-მოდელების გამოყენებით, პრიორიტეტს მივანიჭებთ სხვადასხვა სახის აღჭურვილობისა და ტექნიკის შიდა წარმოებას. ამის მაგალითია „დიდგორის“ საკომუნიკაციო, რეკონოსცირების და ქვეითთა საბრძოლო მანქანა, შეჯავშნული სასწრაფო და თვითმავალი ნალმმტყორცნი.

ამ მიდგომას მთელი რიგი დადებითი მხარეები გააჩნია, მათ შორის, ერთი ტიპის მანქანის კონცეფციის ეფექტიანობა და მზა ლოჯისტიკური მხარდაჭერა. თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს აღნიშული მიმართულების მხარდაჭერას 2020 და მომდევნო წლებში. ყურადღება გამახვილდება „დელტას“ საწარმოო სიმძლავრეების გაზრდაზე და ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებაზე, ექსპერიმენტული მოდელების შექმნაზე, საბრძოლო ტყვია-წამლის, ვაზნებისა და სხვა სამხედრო მოხმარების საგნების წარმოებაზე. გაგრძელდება მუშაობა როგორც დიდგორის მრავალფუნქციური პლატფორმის დახვეწაზე, ისე თვისობრივად ახალი ტიპის საბრძოლო სისტემების შემუშავებაზე.

ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევებიდან გამომდინარე, სამხედრო და საპოლიციო დანაყოფების სხვადასხვა კალიბრის ვაზნებით მომარაგება სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ ვახორციელებთ პროექტს, რომლის მიზანია საქართველოში ტყვია-წამლის საწარმოს ჩამოყალიბება. საწარმო, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების მოთხოვნილებებს მოემსახურება და მოახდენს პროდუქციის ექსპორტს საერთაშორისო ბაზარზე.

#### 4.4. თავდაცვის ძალების კომუნიკაციები და სტრატეგიული კომუნიკაციები

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარებას და საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებას. კერძოდ, გაძლიერდება კომუნიკაცია სამოქალაქო სექტორთან სამხედრო თემებზე. აღნიშნულის ფარგლებში, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნება „თავდაცვის ცენტრები“ (ე.წ. FRONT OFFICE), რომლებიც საზოგადოებას, თავდაცვის სფეროსთან დაკავშირებულ მომსახურებას, ერთი ფანჯრის პრინციპით გაუწევენ. მათი მიზანი ერთიანი, მდგრადი და ქვეყნის დასაცავად მობილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბება იქნება, რაც ჰიბრიდული საფრთხეების, მათ შორის ანტი-დასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ საზოგადოების მდგრადობის გაზრდასა და ზოგადად, ცნობიერების ამაღლების მიზნებს მოემსახურება. ამასთან, ცენტრები შეასრულებენ როგორც რეკრუტირების, რეგერვისა და მობილიზაციის, ისე თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების საზოგადოებასთან სრულყოფილი ინფორმაციული მიმოცვლის ფუნქციებს. კერძოდ, „თავდაცვის ცენტრებში“



განხორციელებდა საინფორმაციო მხარდაჭერა, სოციალური მედიის გაძლიერებული კომპონენტის ჩათვლით. პროექტის ბენეფიციარები იქნებიან: ახალგაზრდები, სამხედრო სავალდებულო მოსამსახურეები, რეზერვისტები, საკონტრაქტო-სამხედრო მოსამსახურეები, ვეტერანები, მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, ექსპერტები და ა.შ.

ქ. რიგაში ნატოს სრულყოფის ცენტრთან ერთად გაგრძელდება თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიით (2017-2020) გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება. 2020 წელს, საქართველოს თავდაცვის ძალებში, ბრიგადის დონეზე გაგრძელდება საზოგადოებრივ საქმეთა ოფიცრის ინსტიტუტის ხელშეწყობა. აღნიშნული ინსტიტუტი პირველად, გენერალური შტაბის, აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობებში და ეროვნულ გვარდიაში შეიქმნა და ხელს უწყობს თავდაცვის სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებების, ნატო-საქართველოს ურთიერთობებისა, და თავდაცვის ძალებში განხორციელებულ რეფორმებზე საზოგადოების ინფორმირებას.

უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2020 წელს მეოთხედ ჩატარდება სწავლება „ღირსეული პასუხი“. ამჯერად, სწავლების ერთ-ერთი ამოცანა ჰიბრიდულ საფრთხეებზე ჟურნალისტების ინფორმირება იქნება.

სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მიზნით, განხორციელდება შემდეგი პროექტები:

- „ჩვენი ჯარი“, რომლის ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჩატარდება ლექცია-პრეზენტაციები საქართველოს სამხედრო ისტორიის, თავდაცვის ძალების, სამხედრო სამსახურის და თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

- „ჯილდო ცოდნისთვის“ კონკურსის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს ჩაუტარდებათ ონლაინ-ტესტირება სამხედრო ისტორიის, სამხედრო სამსახურის, თანამედროვე გამონაგებებისა და თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე.
- „საქართველოს სამხედრო ისტორიის“ პროექტის ფარგლებში განთავსდება შესაბამისი ინფორმაცია თავდაცვის ძალების ისტორიის და ღვაწლმოსილი სამხედროების დამსახურების შესახებ.

#### 4.5. კეთილსინდისიერების ამაღლება და ანტიკორუფციული გარემო

კეთილსინდისიერების ამაღლება და კორუფციასთან ბრძოლა სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ინსტიტუციური ცვლილებების თანმიმდევრული დანერგვის პროცესში. 2020 წელს, გავაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას დიდ ბრიტანეთთან კეთილსინდისიერების ამაღლების ხელშეწყობისა და საუკეთესო უცხოური პრაქტიკის შესწავლა-დანერგვისთვის.

კორუფციის პრევენციის მიმართულებით, გაგრძელდება თავდაცვის სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდაზე, ფინანსური მართვისა და შესყიდვების პროცედურების დახვეწაზე და თავდაცვის სექტორში მომუშავე საჯარო მოხელეებისა და სამხედრო მოსამსახურეების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები. თავდაცვის სამინისტრო, როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (ანტიკორუფციული საბჭოს) წევრი უწყება, გააგრძელებს 2019-2020 წლების საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესრულებას. 2020 წელს, ყურადღება კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შექმნაზეც გამახვილდება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერების თვალსაზრისით, თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას დაემატა „ანალიტიკისა და ფინანსური მონიტორინგის მთავარი სამმართველო“, რომელიც ფინანსური დანაშაულის თუ ნებისმიერი გადაცდომის პრევენციასა და კონტროლზე იქნება ფოკუსირებული.

### 5. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

#### 5.1. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

ტრანსნაციონალური საფრთხეებისა და გამონაგებების ფონზე, ეროვნული თავდაცვა და უსაფრთხოება მჭიდროდაა დამოკიდებული ჩვენს საზღვრებს გარეთ არსებულ უსაფრთხოებასთან. ამ მხრივ, თავდაცვის სამინისტრო სხვა უწყებებთან ერთად, ეროვნული და საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან. სამინისტრო საერთაშორისო ურთიერთობებს წარმართავს სტრატეგიული დოკუმენტების, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების, ინტერესებისა და ქვეყნის საჭიროებების საფუძველზე.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს ეფექტურ და შედეგზე ორიენტირებულ ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან. აღნიშნული ხელს უწყობს თავდაცვის სფეროს ტრანსფორმაციის პროცესს, უზრუნველყოფს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას, მდგრადობისა და შეკავების გაძლიერებას და ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას - ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს საბოლოო მიზნის მიღწევას- ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში განწევრიანებას.

## 5.2. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO)

ნატოში განწევრიანება რჩება ჩვენი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წამყვან პრიორიტეტად, რომლის შეუქცევადობა საქართველოს კონსტიტუციით არის გამყარებული. თავდაცვის სამინისტრო, პროცესის შემდგომი უზრუნველყოფის მიზნით,



ნატოში განწევრიანებისთვის საჭირო ყველა პრაქტიკული მექანიზმის გამოყენებით, აგრძელებს ეფექტურ და ნაყოფიერ თანამშრომლობას ალიანსთან. გაგრძელდება აქტიური პოლიტიკური დიალოგი და კონსულტაციები ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) ფარგლებში, როგორც თავდაცვის, ასევე სხვა საკითხებზე. ამასთან წარმატებით გაგრძელდება სხვა მნიშვნელოვანი პროგრამებისა და თანამშრომლობის ფორმატების - წლიური ეროვნული პროგრამა (ANP), ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP), დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი (PARP) სამხედრო კომიტეტი და საქართველოს სამუშაო გეგმა (MC+GEO WP) - ფარგლებში აღებული ვალდებულებების განხორციელება. ნატოსა და საქართველოს ერთობლივი ძალისხმევა მიმართული იქნება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის წარმატებით განხორციელებაზე, ერთიანი სამთავრობო



მიდგომის ფარგლებში ჩამოყალიბებულ SNGP უწყებათაშორისი საბჭოს (SNGP Interagency Governing Board) მეშვეობით. აღნიშნული განაპირობებს არსებითი პაკეტის სისტემატიურ, ინსტიტუციურ და რაციონალურ განხორციელებას, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს ნატოში განწევრიანებას. 2019 წელს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, ხუთი წლის თავზე მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2020 წელს SNGP-ის განახლებასთან დაკავშირებით. პაკეტის განახლების პროცესის ფარგლებში შემუშავებული პირველადი დოკუმენტის განხილვა მოხდება 2020 წლის გაზაფხულზე დაგეგმილ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის კონფერენციაზე. შესაბამისად, ნატო-საქართველოს განახლებული არსებითი პაკეტის დამტკიცება იგეგმება 2020 წლის მეორე ნახევარში.

საქართველო, როგორც შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურის განუყოფელი ნაწილი, განაგრძობს ნატოსთან სტრატეგიულ დისკუსიებში მონაწილეობას და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების მიზნით პრაქტიკული ინიციატივების განხორციელებას.

საქართველო, როგორც ალიანსის სანდო და მნიშვნელოვანი პარტნიორი და ორგანიზაციის მომავალი წევრი, განაგრძობს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების მიმართულებით ნატოს ძალისხმევის მხარდაჭერას. ამ მხრივ, თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს მონაწილეობას ნატოს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში (RSM) 870 სამხედრო მოსამსახურით და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) - ერთი ასეულის ზომის ქვედანაყოფით.

### 5.3. აშშ-საქართველოს სტრატეგიული ორმხრივი თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში საქართველოსა და აშშ-ის თანამშრომლობა არის მტკიცე, ყოვლისმომცველი და დაფუძნებულია ურთიერთმხარდაჭერაზე. აღნიშნული თანამშრომლობის მიზანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის განმტკიცება სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით.

2019 წლის ნოემბერს ხელი მოეწერა თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის სამწლიან ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომლითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობა და თავდაცვის მზადყოფნისა და თავსებადობის დონის გაუმჯობესების მიზნით განისაზღვრა ორმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტები. ორმხრივი თანამშრომლობის მთავარ მიმართულებებად განისაზღვრა საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP), საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) განვითარება და საქართველოს გადასროლის პროგრამა (მტკიცე მხარდაჭერის მისია, RSM). აღნიშნული პროგრამები მხარს უჭერს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას, ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებასა და მზადყოფნის დონის გაუმჯობესებას - ყოველივე ეს კი ემსახურება მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოს საბრძოლო მზადყოფნის არსებით განვითარებას.





აშშ – საქართველოს ორმხრივი აქტივობები, რომელიც დაგეგმილია 2020-2022 წლებში, უზრუნველყოფს საქართველოს ეფექტურად გადასვლას ტრენინგის მიმღები ქვეყნიდან სანდო მზადყოფნის პროცესში მყოფ პარტნიორამდე, რომელსაც შეუძლია შექმნას და შეინარჩუნოს ტერიტორიული თავდაცვისთვის საჭირო მზადყოფნის დონე, აღკვეთოს საფრთხეები და მონაწილეობა მიიღოს ნატოს ოპერაციებსა და სხვა საერთაშორისო კოალიციებში.

ჩარჩო ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი პროგრამების მსგავსად, უდიდესი მნიშვნელობისაა აშშ-ის ევროპულ სარდლობასთან, ჯორჯიის შტატთან და თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის სააგენტოსთან არსებული მტკიცე თანამშრომლობა. ხსენებული ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცება უმნიშვნელოვანესია გრძელვადიანი შედეგის მისაღწევად.

#### 5.4. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა

სამინისტრო ორმხრივ ფორმატში თანამშრომლობს ნატოს 24 წევრ და პარტნიორ სახელმწიფოსთან.

პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის სფეროები განისაზღვრება ყოველწლიურად, თავდაცვის რეფორმების პრიორიტეტების საფუძველზე და შესაბამისად, თავდაცვის ძალების საჭიროებების გათვალისწინებით. 2020 წელს აქცენტი გაკეთდება ინსტიტუციურ განვითარებაზე, საბრძოლო მზადყოფნისა და განათლების დონის გაუმჯობესებაზე, მდგრადი განვითარებასა და თავსებადობის გაზრდაზე. რეფორმების განგრძობითობისა და თანამიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, ძალისხმევა მიმართული იქნება



პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი ჩარჩო დოკუმენტების განვითარებაზე. გარდა ამისა, 2020 წელს სამინისტრო განიხილავს ახალ პარტნიორ სახელმწიფოებთან ორმხრივი თანამშრომლობის ინიცირების შესაძლებლობებს.

თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებასთან ერთად, სამინისტრო განაგრძობს ურთიერთობების გაღრმავებას სტრატეგიულ პარტნიორებთან საგარეო და უსაფრთხოების ფორმატებში მონაწილეობით. რეგიონის ქვეყნებთან დაბალანსებული ურთიერთობები და მათთან პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატების განვითარება თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტს წარმოადგენს.

### 5.5. ევროკავშირი (EU)

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განაგრძობს მის აქტიურ როლს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. მთავარი აქცენტები გავითვალისწინებთ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაზე. თავდაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლობის პრიორიტეტები ნათლად არის ასახული ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ასოცირების დღის წესრიგში, შესაბამისად, თანამშრომლობის მიზნების წარმატებით განხორციელებას ორივე მხარე დიდ ძალისხმევას მოახმარს.

2020 წელს ძირითადი აქცენტები გავითვალისწინებთ თავდაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ევროინტეგრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულებაზე. ყურადღება გამახვილდება თანამედროვე გამოწვევების წინააღმდეგ შესაძლებლობების განვითარებაზე, მათ შორის: ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავება, სტრატეგიული კომუნიკაციები, კიბერუსაფრთხოება, გენდერული თანასწორობა, ერთიანი თავდაცვისას და უსაფრთხოების პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში საქართველო-ევროკავშირის სამუშაო გეგმის იმპლემენტაცია,

დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს ევროკავშირის ახალ ინიციატივებში მონაწილეობის შესაძლებლობების მიმართულებით აქტიურ მუშაობას, რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების მიზნით. როგორც ევროკავშირის უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი, საქართველო გააგრძელებს ევროკავშირის მიმდინარე მისიებში აქტიურ მონაწილეობას მალისა და ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკებში (EUTM RCA; EUTM Mali) 2020 წლის ამჟამინდელი მანდატების დასრულებამდე.

საქართველო გააგრძელებს ევროკავშირთან თანამშრომლობას უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე ევროკავშირი-საქართველოს უსაფრთხოების მაღალი დონის სტრატეგიული დიალოგის (EU-Georgia High Level Strategic Security Dialogue) ფარგლებში. 2020 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მონაწილეობას მიიღებს დიალოგის რიგით მეოთხე შეხვედრაში, სადაც განხილული იქნება უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხები.

